დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“
დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით
ცვლილება: 29.11.2021 წლის N01-04/212 ბრძანებით
13/06/2023 წლის 01-04/122ბრძანებით

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

ქობულეთი

2023

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი მიზნები და პროცესები 4
2.1 ძირითადი პროცესები და ქვეპროცესები 7
2.2 დამხმარე პროცესები და ქვეპროცესები 9
3. მაკორექტირებელი ქმედებები 17
4. პროგრამების შეფასება 20
4.1 კვლევის მეთოდოლოგია 23
კვლევის მიზანი 23
კვლევის მეთოდი 23
სამიზნე ჯგუფი 23
შერჩევა 23
მონაცემთა შეგროვების მეთოდები 24
ეთიკური მოსაზრებები 26
ვალიდობა და სანდოობა 27
4.2 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 27
5. მტკიცებულებების ვერიფიკაცია 28
5.1 ვერიფიკაციის პირველი ეტაპი 30
5.2 ვერიფიკაციის მეორე ეტაპი 30
5.3 ვერიფიკაციის მესამე ეტაპი / მტკიცებულებების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია 31
ვერიფიკაციის მიზანი 31
დიზაინი და მეთოდი 31
შერჩევა/რისკების ანალიზი 31
5.4 ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა 33
6. კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია 36
კვლევის მიზანი 36

კვლევის მეთოდი 36
სამიზნე ჯგუფი 36
შერჩევა 36
მონაცემთა შეგროვების მეთოდი 37
ეთიკური მოსაზრებები 38
ვალიდობა და სანდოობა 38
6.1 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 38
7. დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია 39
კვლევის მიზანი 39
კვლევის მეთოდი 39
სამიზნე ჯგუფი 39
შერჩევა 39
მონაცემთა შეგროვების მეთოდები 40
ეთიკური მოსაზრებები 41
ვალიდობა და სანდოობა 41
7.1 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება 41

1. შესავალი

საქართველოს კანონი "განათლების ხარისხის განვითარების" შესახებ განსაზღვრავს მექანიზმების სახეებს, რომლებიც გამოიყენება ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოში. ეს მექანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: შიდა და გარე მექანიზმებად. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია ავტორიზაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები კოორდინირებულად ახდენენ კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხოლო შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით კოლეჯის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით - გადაწყვეტილებების მიღებას.

შეფასების სისტემის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი სპეციალისტებთან ერთად, სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები/საშტატო პირები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები და სხვა. ასევე, კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი მიზნები და პროცესები

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა (შემდგომში - ხარისხის უზრუნველყოფა) და მისი მექანიზმები გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტი შეფასებისა და განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია შეაფასოს:

ა) კოლეჯში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობა;

ბ) რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

გ) არსებული რეგულაციების გამართულობა, მოქნილობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

დ) კოლეჯის საქმიანობის შესაბამისობა დადგენილ რეგულაციებთან/სტანდარტებთან.

აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებს, ამ პროცესების სისტემურ შეფასებას, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, კვლავ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების გადადმას და ამ პროცესში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA), რაც გულისხმობს შემდეგს:

- **PLAN** (დაგეგმე) - მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრას;
- **DO** (განახორციელე) - პროცესის (ღონისძიებების) განხორციელებას;
- **CHECK** (შეამოწმე) - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან;
- **ACT** (იმოქმედე/განავითარე) - შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას.

ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

- უწყვეტი განვითარება;
- გამჭვირვალობა;
- ანგარიშვალდებულება.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ხორციელდება შემდეგი პროცესების PDCA-ს მიხედვით შეფასება.

I ძირითადი პროცესები:

1. პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) განვითარება;
2. სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზება:
3. სტუდენტთა კორპუსის მართვა

III დამხმარე პროცესები:

1. ადამიანური რესურსების მართვა
2. მატერიალური რესურსის მართვა;
3. საინფორმაციო რესურსები

4. პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება
5. ფინანსური რესურსის მართვა;
6. მართვის პროცესები:
7. სტრატეგიული დაგეგმვა

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს: პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფა არამხოლოდ ერთი სტრუქტურული ერთეულის/საშტატო პირის პასუხისმგებლობაა, არამედ მთელი კოლექტივის - პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დახმარე პერსონალის. აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას, ე.წ. peer review-ს. ხარისხის მართვა კი გამჭოლად ინტეგრირებულია ყველა პროცესში. ერთადერთი რამ, რაც ხარისხის მართვის პროცესს განასხვავებს სხვა პროცესებისგან არის ის, რომ თავად ამ პროცესის შეფასება ხორციელდება ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის ფარგლებში.

კოლეჯში იდენტიფიცირებული პროცესები	**პასუხისმგებელი პირები**
საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	ხარისხის მართვის მენეჯერი; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მართვის მენეჯერი
სასწავლო პროცესის ორგანიზება	სასწავლო პროცესის მენეჯერი; სასწავლო პროცესის კოორდინატორი
სტუდენტთა კორპუსის მართვა	სასწავლო პროცესის მენეჯერი
რეესტრის წარმოება	ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორი
სტრატეგიული დაგეგმვა	დირექტორის მოადგილე
სტუდენტური სერვისები	სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერი
საბიბლიოთეკო სერვისები	ბიბლიოთეკარი
ფინანსური რესურსის მართვა	საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერი
ადამიანური რესურსების მართვა	ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი
მატერიალური რესურსის მართვა	საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერი

უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა	საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერი
საზოგადოებასთან ურთიერთობები	საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვის მენეჯერი
საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა)	საქმისმწარმოებელი
პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება	სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერი

2.1 ძირითადი პროცესები და ქვეპროცესები

ძირითად პროცესებთან მიმართებით, ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია განახორციელოს ღონისძიებები სხვადასხვა სახის პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) განხორციელების, სასწავლო პროცესის და სხვა დამატებითი პროფესიულ სტუდენტებზე და მსმენელებზე ორიენტირებული სერვისების (მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობისა და სხვა სერვისების) ხარისხის შესაფასებლად. ასევე, მისი მიზანია იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული დონის მუდმივ ზრდა-განვითარებაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარება. აღნიშნულის უზრუნველყოფა ხორციელდება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად.

ძირითადი პროცესი: პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) განვითარება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების (შემდგომში - პროგრამების) განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- **პროგრამების დაგეგმვა** - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს;
- **ახალი პროგრამების დამატება** - პროგრამული ნაწილის მომზადება, პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;

- **პროგრამებში ცვლილებების შეტანა** - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების შესაბამისად, ცვლილებების განხორციელება;
- **პროგრამების შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება** - პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული განათლების მასწავლებლები / მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები, პროფესიული სტუდენტები/ მსმენელები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები და ა.შ.);
- **მტკიცებულებათა ვერიფიკაცია** - მტკიცებულებათა ვერიფიკაცია პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით;
- **მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა** - მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, შეფასების განხორციელება.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. პროგრამების განვითარების მიზნით, ხორციელდება მონაცემების შეგროვება და ანალიზი ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების გათვალისწინებით. პროგრამების განვითარება გულისხმობს პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას.

ძირითადი პროცესი: სასწავლო პროცესის ორგანიზება

სასწავლო პროცესის ორგანიზება მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვას (სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმა) პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესებს;
- სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმს;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (დასწრებას საკონტაქტო საათზე);
- პრაქტიკული კომპონენტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება;
- სტუდენტთა შეფასება

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად და ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობაში ჩართული პირების საუდიტორიო მუშაობაზე დასწრებას და კალენდარულ გეგმებთან შედარებას, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, სისუსტეების იდენტიფიცირებას და სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობის უწყვეტად განვითარებას. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების გათვალისწინებით.

ძირითადი პროცესი: სტუდენტთა კორპუსის მართვა

სტუდენტთა კორპუსის მართვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურებს;
- გარე და შიდა მობილობის პროცედურებს;
- კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურებს;
- ფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს;
- არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების მომზადებას/გაფორმებას;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო კორპუსის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები, სასწავლო პროცესის გამართულად ორგანიზების მიზნით ექვემდებარე გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

2.2 დამხმარე პროცესები და ქვეპროცესები

დამხმარე პროცესებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია განახორციელოს ღონისძიებები ორგანიზაციული მართვის პროცესების და ამ პროცესებში გამოყენებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაფასებლად. ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციების განაწილება და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს კოლეჯის ძირითადი

საქმიანობის განხორციელებას, რაც გულისხმობს ამოცანის შესასრულებლად მართვის თითოეული რგოლის უფლებების და პასუხისმგებლობების განსაზღვრას და მართვის რგოლებს შორის ფუნქციების რაციონალურ განაწილებას მათი საქმიანობის ერთიანი კოორდინაციის გათვალისწინებით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია შეფასდეს პროცესები, ხოლო შემდეგ განხორციელდეს ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი და გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობაზე, კომპეტენტურობასა და მართვის პროცესის გამჭვირვალობაზე. ამ მიმართულებით ფასდება ორგანიზაციული მართვის პროცესები, ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები, ის რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება დამხმარე პროცესები, რადგან ხარისხის უზრუნველყოფა რეგულაციების შეფასების გარეშე არ არსებობს.

ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება ძირითადად ეყრდნობა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და მათ გამოკითხვას, რომელიც ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად. მონიტორინგის და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი სტრუქტურული ერთეულების ნაკლოვანებების, ძირითადი ხარვეზების შესახებ შუალედური და წლიური ანგარიშები მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

დამხმარე პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა

სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას;
- ცვლილებების შეტანას და გაუმჯობესებას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში 2-ჯერ, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესით განსაზღვრული შუალედური და წლიური ანგარიშების წარდგენიდან 1 თვის ვადაში. რეგულაციიდან გამომდინარე, კონკრეტული ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით.

გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა გამოყენებული იყოს მონაცემთა შეგროვების დამატებით მეთოდად ინტერვიუ/გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: სტუდენტური სერვისები

სტუდენტური სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- საკონსულტაციო მომსახურების გაწევის წესს;
- დამატებითი (ექსტრაკურიკულური) აქტივობების განხორციელებას;
- პროფესიული სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/ არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული წესი, ასევე ექვემდებარება გადახედვას, გაუმჯობესების მიზნით.

დამხმარე პროცესი: პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება

პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელება;
- კურსდამთავრებულების კვლევა;
- კვლევის შედეგების ანალიზი;

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი კურსდამრთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. კურსდამრთავრებულთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად

შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იყოს ინტერვიუ/ გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. კურსდამრთავრებულთა კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

დამხმარე პროცესი: ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური რესურსის მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ადამიანური რესურსების მართვას და განვითარებას;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემას;
- პერსონალის (მ. შ. პროფესიული განათლების მასწავლებლების) საჭიროების კვლევა;
- პერსონალის პირად საქმეებს, შემუშავებულ სამუშაო აღწერილობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებს;
- პერსონალის დატვირთვის სქემის განსაზღვრას და სტატისტიკური ინფორმაციის მართვას.
- პერსონალის (მ. შ. პროფესიული განათლების მასწავლებლების) ტრენინგები და პროფესიული განვითარება

ორგანიზაციული სტრუქტურის აგებულება უნდა იძლეოდეს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საქმიანობის კოორდინირების შესაძლებლობას. ეს ერთი მხრივ უნდა გამორიცხავდეს ფუნქციათა დუბლირებას, ხოლო მეორე მხრივ მინიმუმამდე დაყავდეს ,,თეთრი ლაქების" არსებობა, როცა არც ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი არ იღებს პასუხისმგებლობას მმართველობითი უფლებამოსილებას მიკუთვნებულ რომელიმე საკითხის გადაწყვეტაზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით სამუშაოთა აღწერილობის შედგენას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. სამუშაოთა აღწერილობა წარმოადგენს იმ ძირითად დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს არსი და მოცულობა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება და ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შესაბამისად, ამ პროცესის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად. ადამიანური რესურსების

მართვის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინტერვიუ/გამოკითხვა/ ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/ არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასების საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებსა და საჭიროებებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: მატერიალური რესურსის მართვა

მატერიალური რესურსის მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- უძრავი ქონების მართვას;
- მოძრავი ქონების მართვას;
- შესყიდვებს (შენახვა/დასაწყობება);
- პროგრამების შესაბამისად აუდიტორიების/სახელოსნოების/ლაბორატორიების მოწყობას/ აღჭურვას;
- საინფორმაციო რესურსების მართვას;
- ადაპტირებული გარემოს მოწყობას/მართვას;
- კომუნიკაციების მართვას (ელ. ენერგია, წყალი, გათბობა).

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად. ასევე, ხორციელდება მონიტორინგი სულ მცირე წელიწადში ორჯერ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებული იყოს ინტერვიუ/ გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს;
- წესრიგის დაცვის მექანიზმებს;
- ჰიგიენის დაცვის მექანიზმებს;
- უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს (შენობაში, ლაბორატორიებში).

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად. ასევე, ხორციელდება მონიტორინგი სულ მცირე წელიწადში ორჯერ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა/ ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/ არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: საზოგადოებასთან ურთიერთობები

საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესს;
- ვებგვერდის ადმინისტრირებას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ვებგვერდის მონიტორინგი ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სულ მცირე წელიწადში ორჯერ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. მონიტორინგის

საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა)

საქმისწარმოების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- საქმისწარმოების წესს;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონიტორინგს.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონიტორინგი ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით წელიწადში არანაკლებ ორჯერ. კონკრეტული ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით. მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იყოს ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: რეესტრის წარმოება

რეესტრის წარმოება მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- რეესტრის წარმოების წესს;
- რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. რეესტრის წარმოებაზე მონიტორინგი ხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ხოლო კონკრეტული ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით. გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით იქნას გამოყენებული ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

დამხმარე პროცესი: საბიბლიოთეკო სერვისები

საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს;
- ელექტრონული კატალოგის ადმინისტრირებას;
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებულ საბიბლიოთეკო რესურსებს;
- საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვას (ინვენტარიზაციით);
- პროგრამების ძირითად ლიტერატურასთან საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობას;
- პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებაზე ზრუნვას;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად, ხოლო მონიტორინგი სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. შედეგებზე დაყრდნობით რეგულაციები ექვემდებარება გადახედვას პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

დამხმარე პროცესი: ფინანსური რესურსის მართვა

ფინანსური რესურსების მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ფინანსური ანგარიშგების მექანიზმებს;
- დაფინანსების ძირითადი წყაროების განსაზღვრას;
- დაფინანსების დამატებითი წყაროების განსაზღვრას.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ბიუჯეტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში, რადგან შეფასდეს ფინანსური გადაწყვეტილებები გამომდინარეობს თუ არა ფაქტობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო ბიუჯეტთან დადარებისა და დაფინანსების დინამიკის წარმოებით. მონიტორინგის კონკრეტული ვადა განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით.

შეფასების შედეგებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

3. მაკორექტირებელი ქმედებები

კოლეჯის საქმიანობის შეფასების მიზნით, პროცესების მონიტორინგი, მათი გაზომვა და ინფორმაციის შეგროვება, იძლევა მსჯელობის საშუალებას ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ. ნებისმიერი გადახრა ფიქსირდება და ექვემდებარება ანალიზს. გადახრა, რომელიც შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც შეუსაბამობა (მოთხოვნათა შეუსრულებლობა), საჭიროებს მაკორექტირებელ ქმედებებს, რათა აღმოიფხვრას და თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი შეუსაბამობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით გაწერილი თითოეული პროცესი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კერძოდ:

- დაბალი რისკ-ფაქტორი - 1 ქულა;
- საშუალო რისკ-ფაქტორი - 2 ქულა;
- მაღალი რისკ-ფაქტორი - 3 ქულა;
- კრიტიკული რისკ-ფაქტორი - 4 ქულა.

რისკ-ფაქტორი	დაბალი რისკ-ფაქტორი	საშუალო რისკ-ფაქტორი	მაღალი რისკ-ფაქტორი	კრიტიკული რისკ-ფაქტორი
საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება				X
სასწავლო პროცესის ორგანიზება				X
სტუდენტთა კორპუსის მართვა				X
სტრატეგიული დაგეგმვა				X
რეესტრის წარმოება			X	
სტუდენტური სერვისები	X			
საბიბლიოთეკო სერვისები		X		
ფინანსური რესურსის მართვა				X
ადამიანური რესურსების მართვა				X
მატერიალური რესურსის მართვა			X	
უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა		X		
საზოგადოებასთან ურთიერთობები	X			
საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა)		X		
პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება	X			

ყურადღება მახვილდება იმ პროცესების შეფასებისას გამოვლენილ შეუსაბამობებზე, რომლებიც შეფასებულია მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად, ხოლო შემდგომ მან უნდა მოიცვას დაბალი და საშუალო რისკ-ფაქტორები და ერთიან ჭრილში შემუშავდეს მაკორექტირებელი ქმედებები, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით.

შესაბამისად, მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შეუსაბამობების ანალიზს;
- წარმოქმნილი შეუსაბამობის მიზეზების განსაზღვრას;
- აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებას, რათა წარმოქმნილი შეუსაბამობა არ განმეორდეს;
- აუცილებელი ღონისძიებების დანერგვას, იმ პერსონალის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების განაწილებით, რომლის კომპეტენციაში შედის აუცილებელი ღონისძიებების შესრულება;
- შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტების (ჩანაწერების) გაფორმებას, შეუსაბამობის აღმოფხვრის დემონსტრირებისთვის;
- ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით კოლეჯის უფლებამოსილი პერსონალის მიერ შესრულებული მაკორექტირებელი ქმედებების ანალიზს.

მაკორექტირებელი ქმედებების შემუშავებისა და დანერგვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოლეჯის ნორმატიული/მარეგულირებელი დოკუმენტების, შესაბამისი რესურსების, სპეციალისტების კვალიფიკაციის ანალიზს. როდესაც განიხილება და ანალიზდება შეუსაბამობის მიზეზები, მაკორექტირებელი ქმედებების შემუშავებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ასპექტები:

- სამიზნე ჯგუფების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- პერსონალის მომზადება/გადამზადება;
- ფინანსური დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია გამოვლენილი შეუსაბამობის მიზეზების აღმოსაფხვრელად და არსებული შეუსაბამობის განმეორების გამოსარიცხად.

მაკორექტირებელი ქმედებები გამოიყენება შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინდება:

- ყოველდღიურ საქმიანობაში;
- შიდა შემოწმებების ჩატარებისას;
- გარე შემოწმებების ჩატარებისას.

კოლეჯის საქმიანობაში დანერგილი მაკორექტირებელი ქმედებების ეფექტურობის ანალიზი, განიხილება როგორც კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესების საშუალება, ამიტომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე ექვემდებარება საჭიროების შემთხვევაში გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას, რადგან მან უფრო ნათელი სურათი მოგვცეს კოლეჯის საქმიანობის და ორგანიზაციული დონის შესაფასებლად.

4. პროგრამების შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ეს არის მოდულების, სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიური და ტრანსფერული უნარების გადაცემის სტრუქტურირებულ და დაგეგმილ წყაროს. შესაბისად, კოლეჯის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავების დაწყებამდე, ხორციელდება ინიციატივების შეფასება, რომლებიც ეხება ახალი პროგრამების დანერგვას და, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ მიმართულებებს. პროგრამების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **პროგრამების დაგეგმვა** - ახალი პროგრამების დანერგვის იდეა შეიძლება სხვადასხვა წყაროდან წამოვიდეს. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, საზოგადოების, ან სხვა ინსტიტუტების მოთხოვნის შედეგი. შესაბამისად, ფასდება ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა, მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა. მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებს და სხვა.
- **ახალი პროგრამის დამატება/პროექტის შემუშავება** - პროგრამული ნაწილის მომზადება, პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა. ფასდება პროგრამის შემუშავების პროცესი კოლეჯის მიერ დადგენილ პროცედურებთან მიმართებით.
- **პროგრამებში ცვლილებების შეტანა** - ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურებთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები.
- **მიმდინარე შეფასება პროგრამის განხორციელების შემდეგ** - ყველა პროგრამა, რომლის განხორციელების უფლებაც არის მოპოვებული, ექვემდებარე შეფასებას, კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანია განახორციელოს ღონისძიებები პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების, სასწავლო პროცესისა და სხვა დამატებითი სტუდენტური სერვისების (მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობისა და სხვა სტუდენტური სერვისების) ხარისხის შესაფასებლად. ასევე, მისი მიზანია იზრუნოს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული დონის მუდმივ ზრდა-განვითარებაზე და

უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარება. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი ამოცანებია:

ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;

გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;

ე) პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმირების ხარისხის შეფასება;

ვ) პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების / მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების შესაფასებლად გამოიყენება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლების გამოკითხვა, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება. მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, მუშავდება ანგარიშები, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება - გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია, კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია, ინტერპრეტაციები, დასკვნები და რეკომენდაციები.

პროგრამების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება, რისთვისაც კვლევები დროში განმეორებადია და მთელი დროის განმავლობაში გამოყენებულია ერთი და იგივე შერჩევის სტრატეგია. აღნიშნული საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დროში არსებული მსგავსებები, განსხვავებები და ცვლილებები. შესაბამისად, დროში განმეორებადი კვლევა იძლევა სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარებას, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენასა და დასკვნების გაკეთების უნარს, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების პროცესში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი, ან მისი არარსებობა.

ხარისხის მართვის მენეჯერი კვლევის დაგეგმვაში ჩართულ სხვა მხარეებთან ერთად შეისწავლის და განაზოგადებს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის და პროგრამების განხორციელების შეფასების მონაცემებს და შედეგად, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი შემდგომი განვითარებისა და უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის მიზნით. პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოიყოფა კომპონენტთა ჯგუფი, რომელთა ხარისხობრივი მაჩვენებლები, გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით, შეიძლება ობიექტურად იქნას შეფასებული და მიზანდასახულად შეცვლილი (მართული). ეს კომპონენტებია:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო მასალები;
- სწავლების მეთოდები;
- სასწავლო პროცესის მართვა და მონიტორინგი.

ზემოაღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციები შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:

- პროგრამის დახურვა/პროგრამის გაუქმება (ამის საფუძველი შესაძლოა იყოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დაბალი მომართვიანობა, რაც პროგრამის რენტაბელობას აყენებს ეჭქვეშ, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა);
- პროგრამის მნიშვნელოვანი გადამუშავება, რაც იწვევს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას;
- პროგრამის უმნიშვნელო გადამუშავება დახვეწის მიზნით (სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, თემატიკა, მატერიალური რესურსები);
- სრული შესაბამისობის დადგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების შეფასება იყენებს სისტემურ მეთოდებს პროგრამების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციისთვის, მისი განხორციელების, შედეგების ან ზემოქმედების გასაგებად. პროგრამების შეფასება, ეს არის მონაცემების შეგროვება იმის გასაგებად, თუ როგორ ხორციელდება პროგრამა, რათა შემდეგ მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროგრამის შეფასება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ პასუხი მნიშვნელოვან კითხვებზე პროგრამების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა, რადგან ჩართულობით იზრდება პერსონალის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებების შეჯერებით კი პერსონალი უფრო მეტად უახლოვდება პრაქტიკას და პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც აქტუალურია შრომის ბაზარზე.

ხარისხის ციკლის ინდიკატორების გათვალისწინებით განხორციელებული პროგრამის შეფასებამ შესაძლოა განაპირობოს პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა როგორც საკუთარი შესაძლებლობების

ფარგლებში, ასევე, ცენტრისთვის წინადადებების ინიცირებების გზით, რაც ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

4.1 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

პროგრამების შეფასების ფარგლებში კვლევის მიზანია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან მოპოვებულ იქნას ცალკეული მოდულების/სწავლის შედეგების განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია და კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გამოყენებულ იყოს პროგრამების განვითარება/სრულყოფისთვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს, კურსდამთავრებულთა დასაქმებას და კოლეჯის პოპულარობის ზრდას.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

- პროფესიული სტუდენტები/მსმენელები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორები/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებულია მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. შერჩევის ზომა დამოკიდებულია განსხვავებული ქვეჯგუფების, სტრატების რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ქვეჯგუფის შერჩევის ზომა უნდა იყოს რეპრეზენტაციული, სტრატიფიცირება ხორციელდება პროგრამების პარამეტრის მიხედვით.

შესაბამისად, რაც უფრო მეტია სტრატების რაოდენობა, მით უფრო დიდი არის შერჩევა. ამასთან გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, შესაძლებელია ზოგიერთმა მონაწილემ დატოვოს კვლევა, არ დააბრუნოს, ან დააბრუნოს არასრულად შევსებული ანდა გაფუჭებული კითხვარი. აქედან გამომდინარე, შერჩევის ზომა საჭიროზე მეტი უნდა იყოს.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. თუ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა არის მცირე (15-20 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი), შესაძლებელია რესპოდენტებად შეირჩეს ყველა სტუდენტი/მსმენელი, ან მინიმუმ მათი 80%.

პროგრამების განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელების და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის არის არჩეული. შესაბამისად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ყველა განმახორციელებელი პირის ჩართულობა, რადგან იგი მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდი გვაძლევს ინფორმაციას კონტექსტზე, კონკრეტულ ადამიანებსა და გარემოზე, თუმცა მიგნებებს ვერ განვაზოგადებთ, რადგან ისინი მხოლოდ იმ კონკრეტულ ადამიანებზე ვრცელდება. რაოდენობრივი მეთოდი კი გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე.

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული:

- გამოკითხვა;
- ინტერვიუ;
- ფოკუს ჯგუფი;
- დაკვირვება.

მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა შემთხვევაში გამოიყენება გამოკითხვა.

პროფესიულ სტუდენტებთან სამი ტიპის კითხვარი გამოიყენება. პირველი კითხვარით ფასდება მოდულის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია, სასწავლო გარემოს ადეკვატურობა და საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა, მეორე კითხვარით ფასდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ხარისხი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ, ხოლო მესამე კითხვარით ფასდება საწარმოო პრაქტიკის განხორციელება. მსმენელებთან გამოიყენება ერთი ტიპის კითხვარი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებლები აფასებენ პროგრამას, პროგრამის დაგეგმვასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ადეკვატურობასა და ხელმისაწვდომობას, ხოლო საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციები აფასებენ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ გამოვლენილ უნარებს.

შესაძლებელია სამიზნე ჯგუფებისთვის გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში არის შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა. ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში, რესპოდენტებს ეძლევათ მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ერთი კვირა კითხვარის შესავსებად.

ინტერვიუ - საჭიროების შემთხვევაში, მის მიზანს წარმოადგენს უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ საკვლევ საკითხს და გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი

გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. ინტერვიუსთვის კითხვები მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

ფოკუს ჯგუფი - საჭიროების შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფი შედგება პროგრამების ხელმძღვანელებისგან, მოდულის განმახორციელებელი პირებისგან ან პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, მოძიებულ იქნას ახალი იდეები მონაწილეთა გამოცდილების საფუძველზე და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იყოს კითხვარებისა და შემდგომი ინტერვენციების შესამუშავებლად. კითხვები მუშავდება მას შემდეგ, რაც გამოკითხვის და/ან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთება პრობლემა.

დაკვირვება - საკონტაქტო საათზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენს იმის ნახვა, თუ რეალურად როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, მოხდეს პროგრამების დანერგვის/ განხორციელების მიმდინარეობისას ხარვეზებისა და უპირატესობების გამოვლენა, რაც შესაძლებელს გახდის გაკეთდეს გაუმჯობესებისთვის საჭირო დასკვნები და შემდგომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. დაკვირვება ხორციელდება სტრუქტურირებული კითხვარით წინასწარ განსაზღვრული მონაცემების შეგროვების მიზნით. დასაკვირვებელი პირები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სწავლების პროცესში და შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ საკონტაქტო საათებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებაში.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს მოპოვებულ იქნას ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფიდან და მოძიებულ იქნას ის გზები თუ საშუალებები, რომლებიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პრობლემის იდენტიფიცირებას და დაგეგმილი ინტერვენციების მეშვეობით პროგრამების განვითარებას.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- გარკვეული სამიზნე ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების თითოეული მეთოდი იყოს მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შექმნილია ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ვალიდურობის მიზნით ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა.

4.2 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

ხარისხის მართვის მენეჯერი შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და დაკვირვების მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, წელიწადში ერთხელ. ყოველწლიურად ფასდება განხორციელებული პროგრამების მინიმუმ 50%. განხორციელებული კვლევის ანგარიში წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან/სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებსაც პროგრამების განვითარების მიზნით მიეწოდებათ ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცია.

კითხვარის ფორმები მოცემულია დანართებად.

დანართი 1- ადმინისტრაციის კითხვარი ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 2- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 3- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის I, III, IV და V სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 4 - პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 5 -პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის I, III, IV და V სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 6 - დულური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი

დანართი 7 - კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის

დანართი 8 - პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 9 - პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 10 - მსმენელის კითხვარი

დანართი 11 - მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი პირის კითხვარი

დანართი 12 - სწავლება/შეფასებასთან დაკავშირებული ფორმები:

12.1. კალენდარული გეგმის ფორმა;
12.2. საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი;
12.3 შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი
12.4. შეფასების უწყისი
12.5. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმა
12.6. შეფასების მტკიცებულებების ჩაბარების ფორმა
12.7. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა - ტესტი
12.8. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა - ზეპირი გამოკითხვა
12.9. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
12.10. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა - პრაქტიკული დავალება პროდუქტის შეფასება
12.11. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა - ინტეგრირებული მოდულებისთვის
12.12. ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა
12.13. ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა ინტეგრირებული პროგრამებისთვის

5. მტკიცებულებების ვერიფიკაცია

შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. საიმედოობის მოსაპოვებლად კი, ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- გამჭვირვალობას;
- სამართლიანობას;
- ობიექტურობას.

შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, ვერიფიკაციის განხორციელების ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები ახორციელებენ შემდეგ ფუნქციებს:

- ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს;
- სასწავლო პროცესის კოორდინატორი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას დარგის სპეციალისტთან ერთად;
- პროგრამის ხელმძღვანელი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას სასწავლო პროცესის კოორდინატორთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას; დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.
- სასწავლო პროცესის მენეჯერი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- სასწავლო პროცესის კოორდინატორი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- დუალური პროგრამების კოორდინატორი - უზრუნველყოფს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის, როგორც შეფასების მტკიცებულების შესწავლას. ასევე, ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ხულოს ლოკაციაზე - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;

5.1 ვერიფიკაციის პირველი ეტაპი

ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რისთვისაც პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი შეიმუშავებს შეფასების ინსტრუმენტს დანართი 12.5/12.6-ის შესაბამისად, ხოლო დანართი 12.8-ის შესაბამისად სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახდენს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება შეფასების პროცესში. თუ მოდულის განმახორციელებელი პირი არის აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელი, მაშინ შეფასების ინსტრუმენტის შინაასობრივ მხარეს ამოწმებს დარგის სხვა სპეციალისტი/მასწავლებელი.

5.2 ვერიფიკაციის მეორე ეტაპი

ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე ხორციელდება შეფასების პროცესზე დაკვირვება, რათა შეფასდეს შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების პროცესზე დაკვირვება ხორციელდება შერჩევითად, ადმინისტრაციის წარმომადგენლების და/ან პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ამავე მექანიზმით გაწერილი ფუნციების და დანართი 12.4-ის შესაბამისად. შეფასების შემდეგ, წერილობითი ან/და პრაქტიკული დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო პროცესზე დაკვირვების, ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების შეფასების ფურცელი წარმოდგენილი უნდა იყოს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი 12.7) და ინახებოდეს ჯგუფის საერთო პორტფოლიოში.

პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ვადებში.

5.3 ვერიფიკაციის მესამე ეტაპი / მტკიცებულებების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია

ვერიფიკაციის მიზანი

ვერიფიკაციის მიზანს გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს, ანუ ფასდება შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თუ არა ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.

დიზაინი და მეთოდი

ვერიფიკაცია ეყრდნობა უკვე შექმნილ მტკიცებულებებს. არსებული დოკუმენტები/მეორადი მონაცემები გამოსადეგია შესასწავლი ფენომენის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, თუმცა ისინი იმავე დროში გამოვლენილ მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთადაა შესწავლილი. აღნიშნული დროში განმეორებადი ანალიზისთვისაც გამოსადეგია, რადგან მას შეუძლია აჩვენოს, როგორ ვითარდება სიტუაციები დროთა განმავლობაში.

შერჩევა/რისკების ანალიზი

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;

- კოლეჯში (სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“) მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში (სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“) მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კერძოდ:

- დაბალი რისკ-ფაქტორი - 1 ქულა;
- საშუალო რისკ-ფაქტორი - 2 ქულა;
- მაღალი რისკ-ფაქტორი - 3 ქულა;
- კრიტიკული რისკ-ფაქტორი - 4 ქულა.

იმ შემთხვევაში, თუ რისკ-ფაქტორია დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი, ფასდება მის მიერ განხორციელებული ყველა მოდულის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებები შერჩევის მოცულობის მიხედვით. მტკიცებულებები შეირჩევა მარტივი შემთხვევითი პრინციპით საკმარის რაოდენობამდე.

#	**რისკ-ფაქტორები**	**მინიჭებული ქულა**	**შერჩევის მოცულობა**
1	კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	1 ქულა	მტკიცებულებათა 50%
2	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი	1 ქულა	მტკიცებულებათა 50%
3	კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	2 ქულა	მტკიცებულებათა 60%
4	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი	2 ქულა	მტკიცებულებათა 60%
5	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%
6	მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი)	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%
7	კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%

8	დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი	4 ქულა	მტკიცებულებათა 80%

არ მოწმდება ყველა პროფესიული სტუდენტის ნამუშევარი, მაგრამ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ თუ დაფიქსირდა სტანდარტთან მიმართებით გარკვეული შეუსაბამობა ან/და ხარვეზი, იზრდება შეფასებისთვის შერჩევის მოცულობა. კრიტიკული რისკ-ფაქტორისთვის შერჩეულ მტკიცებულებებში გამოვლენილი შეუსაბამობის ან/და ხარვეზის შემთხვევაში, შერჩევის მოცულობა იზრდება 100%-მდე, ხოლო დაბალი რისკ-ფაქტორიდან შემდგომი რისკ-ფაქტორის შერჩევის მოცულობამდე.

ვერიფიკაცია ხორციელდება ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე რისკ-ფაქტორების ჭრილში, შემდგომ ის მოიცავს დაბალი და საშუალო რისკ-ფაქტორებს და ერთიან ჭრილში აფასებს კოლეჯის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემას სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით.

5.4 ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა (დანართი 12.9), რომელშიც ნათლად იკვეთება, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებულია ყველა პრობლემური საკითხი.

ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ვერიფიკაციის დასკვნიდან გამომდინარე, დირექტორის მოადგილეს სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ევალება:

- პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის/პრაქტიკის ინსტრუქტორებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო კონსულტირებით სწორი მიმართულების მიცემა შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობისა და საიმედოობის კუთხით;

- მასწავლებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების დაგეგმვა ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით;
- თვალყურის დევნება, რომ შემფასებლები იყენებდნენ შეფასების სტანდარტებს ერთნაირად და თანმიმდევრულად.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს ცხრილი N1-ის შესაბამისად გაწერილ ეტაპებს. ეს არის ქმედებები, რომლებიც ნებისმიერი შეფასების ნაწილია და მათი რეკომენდებული თანმიმდევრობით მიყოლა მნიშვნელოვანია. ეს იმიტომ, რომ ადრეული ნაბიჯები ქმნის შემდგომი პროგრესის საფუძველს.

ცხრილი N1 - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი ცხრილი

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	**ხარისხის მართვის მენეჯერი**	**ვერიფიკატორი (განათლება)**	**ვერიფიკატორი (დარგი)**	**ინსტრუმენტის შემდგენელი**	**შემფასებელი**	**სტუდენტი**	**სასწავლო პროცესის მენეჯერი/ პროგრამის**	**დაწესებულების ხელმძღვანელი**
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								

მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება								
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება								
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება								
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება								
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად								
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება								
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე								
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)								
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა								
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)								
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)								
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)								

ფორმები მოცემულია დანართებად.

იხ. დანართი N12

6. კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გავიგოთ თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროგრამების კურსდამთავრებულებები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში.

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებულია მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. შერჩევის ზომა დამოკიდებულია განსხვავებული ქვეჯგუფების, სტრატების რაოდენობაზე. ამასთან გათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, შესაძლებელია ზოგიერთმა მონაწილემ დატოვოს კვლევა, აქედან გამომდინარე, შერჩევის ზომა საჭიროზე მეტი უნდა იყოს.

კურსდამთავრებულთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა

რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. თუ პროგრამაზე კურსდამრთავრებულთა რაოდენობა არის მცირე (20 კურსდამრთავრებულამდე), რესპოდენტებად შეირჩევა ყველა კურსდამრთავრებული, ან მინიმუმ მათი 80%. კვლევა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი, რადგან ის გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე. მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულია გამოკითხვა.

მონაცემთა შეგროვების მეთოდის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული/სტანდარტიზებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის, დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

კურსდამთავრებულთა კვლევა შესაძლებელია ადმინისტრირებული იყოს სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. თუ კვლევის სავარაუდო მონაწილეს არ სურს, ან არ შეუძლია პასუხის გაცემა, საჭირო მოცულობის შერჩევის შენარჩუნების მიზნით, შესაძლებელია ამ რესპონდენტის შემცვლელთან დარეკვა. ასევე, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში არის შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. თუმცა შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს მოძიებულ იქნას ის გზები თუ საშუალებები, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პრობლემის იდენტიფიცირებას

და ინტერვენციების მეშვეობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებას.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- კურსდამთავრებულებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდი იყოს მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შექმნილია ისეთი ინსტრუმენტი, რომლებიც უზრუნველყოფს ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა ვალიდურობის მიზნით.

6.1 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

შემუშავებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/ მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების განვითარების მიზნით.

კითხვარის ფორმა მოცემულია დანართად.

კურსდამთავრებულთა კითხვარი - დანართი 7;

მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამართავრებულის კითხვარი - დანართი 17.

7. დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

დამსაქმებელთა კვლევის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით:

- პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა;
- კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის მეთოდი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

სასურველ სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების და/ან კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები საქართველოში, ასევე, ის პარტნიორი დაწესებულებები/ორგანიზაციები, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკა.

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებულია მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. სტრატიფიცირება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება-გადამზადების პროგრამების პარამეტრის მიხედვით. პარტნიორი ორგანიზაციის

წარმომადგენლების/დამსაქმებლების შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ იძლევა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. ამასთან, ძირითადად ორგანიზაციებში რესპოდენტს წარმოადგენს კადრების შერჩევასა და რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი პირი (ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ა.შ.).

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც იძლევა რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე. კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულია გამოკითხვა.

მონაცემთა შეგროვების მეთოდის აღწერა

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

შესაძლებელია დამსაქმებლების და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთა შემთხვევაში გამოყენებული იყოს როგორც პირისპირ ინტერვიუს ტექნიკა, ასევე ელექტრონული გამოკითხვა. ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაშია შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა შესაძლებელია რესპოდენტებმა თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები, რაც ამგვარი გამოკითხვის სუსტი მხარეა.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- რესპოდენტებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების გამოყენებული მეთოდი იყოს მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შექმნილია ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ არის გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები. ასევე, ყოველწლიურად შესაძლებელია კითხვარის შინაარსისა და კითხვების ფორმულირების დახვეწა ვალიდურობის მიზნით.

7.1 მონაცემთა ანალიზი და რეაგირება

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად, ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფიდან მიღებულ მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.

შემუშავებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/ მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების განვითარების მიზნით.

კითხვარის ფორმა მოცემულია დანართად.

პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი - დანართი 8; დანართი 9.

მომზადება-გადამზადების პროგრამისთვის დამსაქმებელთა კითხვარი - დანართი 19.